პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა
26 დეკემბერი
1954 წელი
№ 103 (805)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

თბილისი

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ინგლისელ მეცნიერთან და საზოგადო მოღვაწესთან ჯონ ბერნალთან

1954 წლის 25 სექტემბერს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, „ხალხთაშორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჯონ ბერნალი.

ამ დღეებში პროფესორმა ბერნალმა გაზეთ „ტაიმსში“ გამოაქვეყნა ადგილები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის ჩანაწერიდან. ქვემოთ ქვეყნდება ამ საუბრის ჩანაწერის სრული ტექსტი.

კითხვა. საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკამ სოფლის მეურნეობის დარგში ბევრი მითქმამოთქმა გამოიწვია საზღვარგარეთ. მას ხშირად გვიხატავენ როგორც ახალი სასოფლო-სამეურნეო კრიზისის ანარეკლს და როგორც კოლექტივიზაციის სისტემის მარცხს. უდიდესი ყურადღება, რაც სოფლის მეურნეობას ექცევა, მრავალი ახალი დადგენილება და თვით სასოფლო-სამეურნეო გამოფენაც კი მოჰყავთ ამ თვალსაზრისის დასადასტურებლად. კერძოდ, ციმბირსა და ყაზახეთში ახალი მიწების სასწრაფოდ დამუშავება იმას ნიშნად მიაჩნიათ, რომ მდგომარეობა სერიოზულია. სწორედ ამ მიზეზით მე მინდა მოვისმინო თქვენგან, რომელიც დიდად პასუხისმგებელი ხართ ახალი კურსისათვის, იმ ძირითად პოლიტიკურ მოსაზრებათა განმარტება, რომლებითაც ხელმძღვანელობდით ამ საკითხში.

პასუხი. თქვენ, რასაკვირველია, წაიკითხავდით პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების შესახებ სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ამ გადაწყვეტილებებმა ბევრი გამოხმაურება გამოიწვია საზღვარგარეთ. საბჭოთა კავშირის მტრები ცდილობენ ჩვენი კრიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში არსებული ნაკლოვანებებისა გამოიყენონ თავიანთი მიზნებისათვის, თავიანთი საკუთარი აზრი მისცენ ამ კრიტიკას.

მართლაც, ჩვენ მწვავედ ვაკრიტიკებთ ჩვენს ნაკლოვანებებს სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ჩვენ თვითგვემას როდი ვეწევით მონანიების რაღაც ავადმყოფური გრძნობის გამო. ამას ჩვენ იმისათვის ვაკეთებთ, რომ მკაცრი კრიტიკა ეხმარება ყველა ჩვენს მუშაკს უფრო ღრმად გაიგოს და შეიცნოს ჩვენი სუსტი მხარეები, რათა უკეთ იმუშაოს და უფრო სწრაფად გამოასწოროს ნაკლოვანებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ეყრდნობა წარმატებებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ამოცანად დაისახა ორი-სამი წლის განმავლობაში მიაღწიოს ფართო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ აღმავლობას. გასაგებია, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის საჭიროა უფრო სწრაფი ტემპით განვავითაროთ სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება.

საზღვარგარეთ ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ი. ბ. სტალინის განცხადებას პარტიის XVIII ყრილობაზე და გ. მ. მალენკოვის განცხადებას პარტიის XIX ყრილობაზე იმის შესახებ, რომ მარცვლეულის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში გადაჭრილია, თითქოს ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა გადიდდეს მარცვლეულის წარმოება და გაფართოვდეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები ყამირ მიწებზე. არსებითად აქ არ არის წინააღმდეგობა. ი. ბ. სტალინი და გ. მ. მალენკოვი სავსებით მართალი იყვნენ, როცა ამბობდნენ, რომ ჩვენ საკმაოდ გვაქვს მარცვლეული, რათა მოსახლეობა უზრუნველვყოთ პურით. ჩვენი ქვეყანა აკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას პურზე. ჩვენ პური ახლაც საკმაოდ გვაქვს და საჭირო რეზერვებიც მოგვეპოვება. მაგრამ ადამიანი მარტო პურით როდი ცხოვრობს. სწორედ ადამიანის სხვა საჭიროებანი არაპირდაპირ მოითხოვენ მარცვლეულის წარმოების გადიდებას.

საბჭოთა კავშირის განვითარებამ, ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებამ და ამ საფუძველზე მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიწვია ის, რომ დიდად გაიზარდა მოთხოვნილება ყოველგვარ საქონელზე, რომელიც წინათ დიდი რაოდენობით არ გვქონდა. ჩვენში ყოველ წლიწადს მცირდება საქონლის ფასები, მატულობს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, იზრდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. გასაგებია, რომ ამასთან კლებულობს მოთხოვნილება უფრო დაბალი ხარისხის საქონელზე და, პირიქით, დიდად იზრდება მოთხოვნილება მაღალი ხარისხის საქონელზე. სულ უფრო მეტი ადამიანი მოითხოვს მაღაზიებში დელიკატესებს. ომის შემდეგ, როცა მაღალი ფასები იყო, სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგება დამაკმაყოფილებელი ჩანდა. ახლა, როცა მთელი რიგი წლების განმავლობაში ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა, შემჩნეულია ცალკეული საქონლის ერთგვარი ნაკლებობა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ყველა ამ სახეობის საქონლის წარმოება სინამდვილეში ბევრად გადიდდა. უკეთესი ხარისხის საქონელზე მოთხოვნილებამ მოსახლეობის ფართო წრეები მოიცვა. ჩვენი ამოცანაა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილება.

კაპიტალიზმის პირობებში ასეთ მდგომარეობაში, ე. ი. საქონელზე გადიდებული მოთხოვნილების დროს, როცა მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას, იქნებოდა ბრწყინვალე შესაძლებლობანი მოგების მისაღებად. მაგრამ ჩვენში საქმის ვითარება ასეთი როდია. სოციალისტური გზა გულისხმობს წარმოების განვითარებას და ფასების შემცირების პოლიტიკის განგრძობას. და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ მარცვლეულის მოჩვენებითი ნაკლებობა. აქ საქმე კრიზისს როდი ეხება. მდგომარეობა ჩვენში უფრო ცუდი კი არ არის, არამედ უფრო კარგია, ვიდრე ოდესმე წინათ ყოფილა. საქმე ის არის, რომ ჩვენი განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე მნიშვნელოვნად მატულობს მოთხოვნილება სახალხო მოხმარების საქონელზე.

ჩვენი პარტია თანმიმდევრულად და გულმოდგინედ ახორციელებს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების ყოველი ღონისძიებით გაფართოებისა და მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების პოლიტიკას. ხოლო იმისათვის, რომ ავამაღლოთ საქონლის წარმოების დონე, საჭიროა ავამაღლოთ მარცვლეულის წარმოების დონე, რადგან საბოლოო ანგარიშით მარცვლეულია კვების ყველა სხვა პროდუქტის საფუძველი, უფრო მეტიც — ფართო მოხმარების ბევრი საქონლის წარმოების საფუძველი. რათა მოვიყვანოთ მეტი მარცვლეული, მიღებულია გადაწყვეტილება გამოვიყენოთ ყაზახეთისა და ციმბირის ყამირი მიწები — ვრცელი ნაყოფიერი ველები, რომლებიც გამოსადეგია მარცვლეული კულტურების მოსაყვანად.

ახალი მიწები ყველაზე იაფ მარცვლეულს გვაძლევს. ადგილი, სადაც მიმდინარეობს ყამირი მიწების ათვისება, წარმოადგენს ვაკეს, რომელიც მრავალი მილის მანძილზე არაფრით არ არის გადასერილი. ამბობენ, და არცთუ დიდად აზვიადებენ, რომ მხვნელი კვალის გავლებას იწყებს საუზმის შემდეგ, სადილობს მობრუნებისას და უკან ბრუნდება ვახშმობის დროს. მარცვლეულის თვითღირებულება აქ მინიმალურია, და ამიტომ ჩვენთვის ხელსაყრელია მისი წარმოება ამ რაიონებში.

ორი წლის შემდეგ ეს ამოცანა გადაჭრილი იქნება. თავდაპირველად ჩვენ ვგეგმავდით მოგვეხნა 13 მილიონი ჰექტარი ყამირი. ეს გეგმა წარმატებით სრულდება: 1954 წელს დაითესა 3,5 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი, ხოლო სულ მომავალი წლის მოსავლისათვის მოიხნა 17 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადასინჯეს პირვანდელი გეგმები და, გაითვალისწინეს რა არსებული შესაძლებლობანი, მიიღეს გადაწყვეტილება 1956 წელს მარცვლეულის ნათესები ყამირ მიწებზე აიყვანონ 28-30 მილიონ ჰექტარამდე. თუ ჰექტარზე მივიღებთ თუნდაც 10 ცენტნერ მოსავალს, ეს ნიშნავს დაახლოებით 300 მილიონ ცენტნერს, ანუ მილიარდ 800 მილიონ ფუთ მარცვლეულს. ეს მინიმუმია, რადგან მოსავალი, რომელიც ამ მიწებზე მოდის, ხშირად ერთისამად აღემატება მოსავლიანობის ამ ციფრს.

აითვისებს რა ყამირ მიწებს, ჩვენი ქვეყანა ისეთი რაოდენობით მიიღებს პურს, როგორიც საჭიროა მოსახლეობის მთელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე მეცხოველეობის აღმავლობისათვის, ექსპორტისა და საჭირო რეზერვების შექმნისათვის. ჩვენ შევძლებთ მეტი დახმარება გავუწიოთ მეგობარ ქვეყნებს, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლებსაც არ შეუძლიათ საკმაო რაოდენობით მოიყვანონ მარცვლეული თავიანთ მიწებზე; რუმინეთს, უნგრეთსა და ბულგარეთს, რომლებსაც მოუსავლიანობის წლებში არ შეუძლიათ მთლიანად დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებანი.

მარცვლეულის წარმოებას რომ გავადიდებთ, ჩვენ შევძლებთ აგრეთვე მეტი რაოდენობით გამოვიყენოთ იგი პირუტყვის საკვებად, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ღორისა და სხვა პირუტყვის სულადობა, გავაუმჯობესოთ მისი გასუქება, ე. ი. მარცვალი ხორცად ვაქციოთ. არის ასეთი უკრაინული თქმა: „ღორის ხორცის ძეხვი ყველა ფრინველზე ლამაზიაო“. ვზრდით რა მარცვლეულის წარმოებას, ჩვენ გვინდა გვქონდეს რაც შეიძლება მეტი ასეთი „ფრინველი“. ახალი მიწების ათვისება დაგვეხმარება უფრო სწრაფად გავადიდოთ საკვების წარმოება მეცხოველეობისათვის. ჩვენ შევძლებთ მეტი მიწა გავათავისუფლოთ საკვები კულტურების მოსაყვანად. ეს საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობა, გავამრავლოთ ცხვრის სულადობა და გავადიდოთ მატყლის წარმოება.

გარდა ამისა, ყამირ მიწებზე მარცვლეულის წარმოების გადიდება საშუალებას მოგვცემს გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში მიწის ფართობების ნაწილი მარცვლეულის ნათესებისაგან, რათა ამ რაიონებში მოვიყვანოთ სხვა მნიშვნელოვანი კულტურები.

ახლა ჩვენ გვჭირდება, როგორც უკვე ვთქვი, ბევრი სხვა პროდუქტი, გარდა პურისა, ხოლო ამ პროდუქტების მიღება შეგვიძლია იმ გზით, რომ უკვე ათვისებულ რაიონებში გავადიდოთ სხვა კულტურების ნათესი ფართობები.

ავიღოთ, მაგალითად, შაქარი. ჩვენ იგი მეტი გვჭირდება და კიდევაც შეგვიძლია მივიღოთ იმ გზით, რომ უკრაინაში შაქრის ჭარხლისათვის გამოვყოთ 300.000 ჰექტარამდე მიწა იმის დამატებით, რაც უკვე გვაქვს. ასეთივე მდგომარეობაა ბამბის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მხრივ, რომლებსაც სჭირდებათ მეტი წყალი და მეტი ყურადღება. ახლა ტექნიკური კულტურების სათესი ფართობები შეგვიძლია გავადიდოთ უფრო დასახლებულ რაიონებში მარცვლეულის ნათესების ერთგვარი შემცირების გზით.

ამრიგად, ამოცანა ის არის, რომ მარცვლეულის ახალი რესურსები გამოვიყენოთ იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით.

თქვენ, რასაკვირველია, შეიძლება იკითხოთ: თუ მთელი ეს სიმდიდრე, ე. ი. ყამირი მიწები, მუდამ ჩვენს ზღურბლთან იყო, რატომ წინათ არ ვიფიქრეთ ამაზე? ხალხი დიდი ხანია, ჯერ კიდევ ძველ, რევოლუციამდელ დროს ფიქრობდა ამ მიწებზე. მეფეებიც კი აპირებდნენ ამ საუცხოო მიწის გამოყენებას. მაგრამ ამის ძალა არ შესწევდათ. ამის ძალა არ შეგვწევდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათეულ წლებშიც, როცა ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყო განვითარებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ახალი მიწების ფართობი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მოიხვნება, უკრაინის მთელი ნათესი ფართობის ოდენა და იმ ფართობზე ერთნახევარჯერ მეტი იქნება, რაც უკრაინაში მარცვლეულ კულტურებს უკავიათ. ამ მიწების ასათვისებლად ათეულ მილიონობით გლეხი იქნებოდა საჭირო, მაგრამ მათი პოვნა შეუძლებელი იყო.

მხოლოდ ახლა, როცა გაიზარდა სოციალისტური ინდუსტრია, როცა საბჭოთა მანქანათმშენებლობამ მიაღწია თავის ახლანდელ მოცულობას, შესაძლო გახდა ასეთი ვრცელი მიწების ათვისება ადამიანთა შედარებით მცირე რაოდენობის საშუალებით. 1954 წელს ყამირი მიწების ასათვისებლად იგზავნება 120 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 10 ათასი კომბაინი

(დასასრული მე-2 გვ.)

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ინგლისელ მეცნიერთან და საზოგადო მოღვაწესთან ჯონ ბერნალთან

(დასასრული)

და ბევრი სხვა ტექნიკა. უნდა ითქვას, რომ ეს მანქანები გამოვყავით ისე, რომ არ გაგვიდიდებია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროგრამა. როცა ვიღებდით გადაწყვეტილებას ამ გეგმის შესახებ, ჩვენ მივმართეთ მოხალისეებს; ყამირი მიწების ასათვისებლად საჭირო იყო რამდენიმე ათეული ათასი კაცი, მაგრამ პარტიის მოწოდებაზე თავიდანვე მოვიდა გაცილებით უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო გამოგვეყენებინა. როცა გვაქვს მანქანები და გვყავს ადამიანები, ჩვენ ვერაფერი შეგვიშლის ხელს იმაში, რომ მივიღოთ იმდენი მარცვლეული, რამდენიც გვსურს.

ჩვენ არ დაგვვიწყებია ჩვენი კარგად ათვისებული ტერიტორიებიც. თქვენ ხომ ნახეთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. იგი გასართობად როდია გახსნილი. ამ გამოფენაზე ჩვენ ვუჩვენებთ თვითეული ოლქის საუკეთესო კოლმეურნეობების მიღწევებს. გლეხები მოდიან, ეცნობიან ამ მიღწევებს და თანდათან რწმუნდებიან, რომ მათაც შეუძლიათ მიაღწიონ ასეთსავე შედეგებს. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი, როგორც სოციალისტური სოფლის მეურნეობის ურყევი საფუძველი. ჩვენ გვინდა რიგითი კოლმეურნეობანი ავიყვანოთ ყველაზე მოწინავე კოლმეურნეობათა დონემდე. გამოფენა ნამდვილი სახალხო უნივერსიტეტია.

კითხვა. გამოფენის ერთერთი თავისებურებაა ის გარემოება, რომ იქ დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო ელექტროსადგურების განვითარებას. ისინი შედარებით პატარებია და, მე ვფიქრობ, არაეკონომიური, რადგან მათ მიერ გამომუშავებული ენერგია უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ენერგია, რომელსაც იძლევა მძლავრი ელექტროსადგურები, თქვენ რომ ამჟამად აშენებთ. მაშ რატომ აკეთებთ ამას?

პასუხი. თქვენ სავსებით მართალი ხართ იმ მხრივ, რომ მცირე ელექტროსადგურების ენერგია გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დიდი სადგურების ენერგია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებისათვის ხელსაყრელია მცირე ელექტროსადგურების შენება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ ომისშემდგომ წლებში ელექტროსადგურების დიდი მშენებლობაა, ელექტროენერგიის ნაკლებობას განვიცდით. მრეწველობა ნთქავს თითქმის მთელ ენერგიას, რომელსაც დიდი ელექტროსადგურები იძლევიან. ცხადია, რომ მრეწველობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობა ჯერჯერობით ცოტა ენერგიას იღებს დიდი ელექტროსადგურებისაგან.

კოლმეურნეობები აშენებენ მცირე სადგურებს, რადგან მათი ენერგია მაინც უფრო იაფი ჯდება, ვიდრე უბრალო ძრავების ენერგია, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში იყენებენ. აგებენ რა ელექტროსადგურებს, თუმცა მცირე სადგურებს, კოლმეურნეობანი ამაღლებენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დონეს, იყენებენ ენერგიას არა მარტო საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის, არამედ, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის, რომელიც ელექტროენერგიით მუშაობს. მაშასადამე, მცირეძალოვანი ელექტროსადგურების მშენებლობა ამართლებს თავის დანიშნულებას, რადგან ეს სადგურები აკმაყოფილებენ კოლმეურნეობათა გადაუდებელ საჭიროებას.

მომავალში ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ზრდასთან ერთად დიდი ელექტროსადგურები სულ უფრო მეტ ენერგიას მისცემენ სოფლის მეურნეობას, და ამას ახლა უკვე ვხედავთ.

კითხვა. მნიშვნელობა, რომელიც ახალი მიწების ათვისებას ენიჭება, ბუნებრივია, აყენებს საკითხს: ხომ არ ნიშნავს ეს იმ დიდი საირიგაციო სამუშაოებისა და სხვა პროექტების ლიკვიდაციას ან, ყოველ შემთხვევაში, შემცირებას, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აზიის განვითარებას ამჟამად მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ევროპის განვითარებას. რამდენად სწორია ეს და რა არის ამის მიზეზი?

პასუხი. ეს სავსებით კანონიერი კითხვაა, მაგრამ ამ კითხვაზე არის უბრალო პასუხი. ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის არა მარტო ამა თუ იმ რაიონის განვითარებას, არამედ აგრეთვე მთლიანად საბჭოთა კავშირის განვითარებას ჩვენი ახლანდელი საჭიროებებისა და ჩვენს ხელთ არსებული რესურსების მიხედვით. მაგალითად, ჩვენ გვსურს გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ეს შეიძლება როგორც არსებული დამუშავებული ფართობების უფრო ინტენსიურად გამოყენების გზით, ისე აგრეთვე ახალი მიწების ათვისების გზით. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შესაძლებელია, რათა გავადიდოთ მოსავლიანობა ყველა ფართობზე. მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას რომ მივაღწიოთ, საჭიროა გვქონდეს დიდძალი სასუქი, ხოლო ამისათვის აუცილებელია ავაგოთ ბევრი ახალი ქარხანა. ყოველივე ამას დრო სჭირდება, ჩვენ კი ლოდინი არ შეგვიძლია. ამჟამად, როგორც უკვე ვთქვი, ეკონომიურად ყველაზე ხელსაყრელია ახალი მიწების გამოყენება. ამ მიწების ათვისება საუკეთესო საშუალებაა მარცვლეულის წარმოების სწრაფად გადიდებისათვის. მაგრამ ჩვენ არა მარტო გავადიდებთ ნათეს ფართობებს, არამედ აგრეთვე ვეცდებით უფრო ინტენსიურად ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ვსპობთ ან ვამცირებთ საირიგაციო სამუშაოებს? არავითარ შემთხვევაში. ირიგაცია განხორციელდება და იგი ხორციელდება იქ, სადაც ეს ყველაზე ხელსაყრელია ძვირფასი კულტურების — ბოსტნეულის, ბამბის, ყურძნის წარმოებისათვის. მაგრამ ამას ჩვენ ჯერჯერობით მთავარ ყურადღებას როდი ვაქცევთ.

ჩვენ ჯერჯერობით მთელ ძალებს უნდა მოვუყაროთ თავი იქ, სადაც შეგვიძლია მივიღოთ ყველაზე მეტი მოსავალი. აქ არის ეკონომიური ხელსაყრელობისა და შესაძლებლობათა უბრალო გამოანგარიშების საკითხი. საითკენ სჯობს გავგზავნოთ დღეს ახალი ტრაქტორი? ძველ მიწებზე, სადაც მას შეუძლია მოხნას 10 ჰექტარი დღეში, თუ ახალ მიწებზე, სადაც ეს ტრაქტორი მოხნავს რამდენჯერმე უფრო მეტს და ამ მიწებზე შეგვიძლია დამატებით მივიღოთ დიდძალი მარცვლეული?

მე ვიცი, საზღვარგარეთ ამბობენ, რომ ახალი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დარგში თითქოს წარმოადგენენ მთელი საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის ძირეულად შეცვლას. ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ არ ვასუსტებთ ყურადღებას მრეწველობის განვითარებისადმი, მრეწველობას მსხვერპლად არ ვწირავთ სოფლის მეურნეობას. მრეწველობის ყველა დარგის განვითარება შემდეგშიც გაგრძელდება დასახული გეგმის თანახმად, ამასთან მძიმე მრეწველობის განვითარებას კვლავაც მთავარი ყურადღება მიექცევა. მუხლუხა ტრაქტორები, გუთნები, სათესები და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, რომლებსაც ქარხნები გამოუშვებენ წელს და შემდგომ 1955 წელს, გაიგზავნება უმთავრესად ახალ მიწებზე. მაშასადამე, წელსა და შემდგომ წელს მუხლუხა ტრაქტორების რაოდენობა ძველ დასამუშავებელ მიწებზე არ გადიდდება, იქ გაიგზავნება სათოხნი ტრაქტორები, კულტივატორები და ნიადაგის დასამუშავებელი სხვა იარაღები, აგრეთვე სათადარიგო ნაწილები იქ არსებული ტრაქტორებისათვის. ამასობაში ჩვენს ქვეყანაში გაიზრდება მარცვლეულის წარმოება, და ჩვენ შევძლებთ დავუბრუნდეთ გამოშვებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების უფრო თანაზომიერად განაწილებას.

თ. გოგოლაძე



ახირებული ხასიათი

მოთხრობა

ყველაფერი ჭადრაკის თამაშით დაიწყო.

დაფა ძველია, ფიგურებიც ძველი. ალაგ-ალაგ საღებავგადაშორებული, გახუნებული, ზოგი წვერმოტვრეული. ერთი სიტყვით—მრავალ ბრძოლაგადახდილი ჭადრაკია. შავი მხედარი და პაიკი გვაკლია. მხედრის მაგივრად ასანთის ყუთს ვათამაშებთ, პაიკის მაგივრად — დამრგვალებულ პურის გულს. მოთამაშეებს სრულიადაც არ გვაღელვებს ეს დანაკლისი — ვთამაშობთ...

ჩემი პარტნიორი, ბესარიონ ბარბაქაძე, დაბალია, ჯმუხი, ჭაღარა, ნაცრისფერი თვალები აქვს, დინჯი, დარბაისელი და აუღელვებელი კაცია. ამას მეტყველებს მისი გარეგნობა და განსაკუთრებით თვალების ფერი და გამოხედვა.

მე და ჩემმა გულითადმა მეგობარმა ჯონდომ, გადავწყვიტეთ ის ზაფხული ქვიშხეთში გაგვეტარებინა. რამდენიმე დღით ადრე მარტო გავემგზავრე აგარაკზე და წიწვნარი ტყის პირას ერთი პატარა ოთახი ვიქირავე. მართლაც, ყველაფერი მშვენიერი იყო. იქით ლიხის მთა, წინ ქართლის ველი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ თვალუწვდომლად შორს გაშლილა, იქით მტრედისფერ სივრცეში მკრთალად, მაგრამ მაინც მოჩანან მთების კონტურები, აქეთ ბორჯომის ხეობა, მწვანენაძვიანი მთები დაყურსულან მტკვრის პირას.

ეზო პატარაა, ხავერდოვანი ბალახით მოფენილი. ერთი კაკლის ხე დგას, სახლის უკან ვაშლები, წინ კი, ლობის პირას — ჭანჭურის რამდენიმე ხე. დიასახლისმა ნება დამრთო აქ ჩამომება ჰამაკი.

თვალები მოხუჭული მაქვს, ნელა ირხევა ჰამაკი.

— გამარჯობათ, მეზობელო!

თვალს ვახელ და ლობესთან კაცს ვხედავ, დაბალს, ჯმუხს... მწვანე პიჟამო აცვია.

— გამარჯობათ, — ვუპასუხე და წამოვიწიე.

— თქვენ ახლა ჩამობრძანებულხართ, — გამომელაპარაკა იგი.

— დიახ ახლა.

— მარტო ხართ?

— ჯერჯერობით მარტო. ორ-სამ დღეში ამხანაგი ჩამოვა თბილისიდან.

— კეთილი... გამოიარეთ ჩვენსკენ, ვისაუბრებთ, დრო უკეთ გაივლის.

— დიდი სიამოვნებით.

მე პირველად ვეწვიე მას.

ბესარიონ ბარბაქაძე მარტო იყო. მან არაფერი მითხრა თავის ვინაობაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, როცა მე ვკითხე, ხომ არავის მოელით მეთქი, მან მიპასუხა:



ხომ არ გეწყინათ? — პირდაპირ თვალებში შემომხედა ბესარიონმა.

— არავის... მე მირჩევნია მარტო დავისვენო.

იმ წუთში დავეთანხმე, მაგრამ, როცა შინ გამოველ, დამაფიქრა ამ კაცმა.

მეორე დილით, აივანზე რომ გავედი, იგი ეზოში დავინახე. მეც ჩავედი ეზოში, ერთმანეთს მივესალმეთ და მშვენიერი დილის გამო მისალმებას მაშინვე აღტაცებით მივაყოლე.

— რა დილაა!

მართლაც, დიდებული დილა იყო. ბორჯომის ხეობაში ნისლი ჩამოდგარიყო. ირგვლივ ცვარი, ცვარი, ცვარი! ყველგან და ყველაფერზე ცვარი! შემაჟრჟოლებლად გრილოდა.

ნასაუზმევს ლობეს მოადგა ბესარიონ ბარბაქაძე.

— ჭადრაკს თამაშობთ? — მეკითხება იგი.

— დიახ ვთამაშობ...

— მეთამაშებით?

— დიდი სიამოვნებით... თუ გაქვთ ჭადრაკი.

— მე არა მაქვს, მაგრამ, აი, თქვენი სახლის პატრონის ბიჭს რომ უთხრათ, მოიტანს...

ცოტა ხნის შემდეგ ჩემი სახლის პატრონის ვაჟს, თალას, ვთხოვე მოეტანა ჭადრაკი. იგი სოფელში წავიდა და მოიტანა ძველი დაფა, ნაჭრის ქისაში ჩაყრილი გახუნებული ფიგურები.

— იმას უნდა ეთამაშო? — მკითხა თალამ, როცა ჭადრაკი გადმოშალა.

— ჰო, მერე რა იყო, თალა?

— არაფერი... კარგად თამაშობ?

— საშუალოდ.

— მოგიგებს.

— შენ საიდან იცი, რომ მომიგებს.

— ეგ კაცი შარშანაც აქ იყო და ყველას უგებდა.

მე გამეცინა.

— მერე რა, რომ შარშან ყველას უგებდა... გინდაც წავაგო, ამით რა? მე ხომ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტობაზე არ ვიცნებობ! შემიძლია ზედიზედ თუნდაც ორმოცი ხელი წავაგო...

ჭადრაკი მეზობელთან გადავიტანე. გავშალე, წილი ვყარეთ. თეთრები მას ერგო.

— კარგად თუ თამაშობთ? — მკითხა და ხელი წაავლო მეფის წინ მდებარე პაიკს.

— არც თუ ისე კარგად... ვთამაშობ ხოლმე დროის მოსაკლავად, რასაკვირველია...

— მხოლოდ დროის მოსაკლავად? — მან პაიკი წინ გადმოსწია.

— რასაკვირველია, — ვუპასუხე და ხელი წავავლე მარჯვენა მხედრის წინ მდებარე პაიკს. მაშინვე წინ წავწიე. ამის დანახვაზე ბარბაქაძემ ტუჩები გამობრუცა.

— პირველი პარტია ჩემია, — თქვა მან და მედიდურად გადახედა მიდამოს.

— ამას ვნახავთ, — დავიქადნე განგებ.

— ვნახოთ, ვნახოთ, — ამბობს ხელების ფშვნეტით, შემდეგ თამაშობს.

ახლა მხედარი გამოვიყვანე.

— ასე თამაში ვინ გასწავლათ?! — ქირქილებს ბესარიონ ბარბაქაძე.

მე ყურს არ ვუგდებ ბარბაქაძის დაცინვას, იგივე სვლას, რაც გავაკეთე მარჯვნივ, ვაკეთებ მარცხენა ფლანგზე... ამის შემდეგ ფერიშზე გამყავს ლაზიერი.

— მართლა სულ არ გცოდნიათ თამაში, — ამბობს ჩემი მოწინააღმდეგე და თვითონ გადმოდის ფერიშზე.

მე კვლავ ლაზიერს ვამოქმედებ. უცებ ხაფანგში გაება იგი, ერთადერთი სვლაა და ისიც სახიფათო. დაიღუპა ლაზიერი.

წავაგე.

— ხომ არ გეწყინათ? — პირდაპირ თვალებში შემომხედა ბესარიონმა. მას ისეთი კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რამე შეემატა.

— საწყენი რა არის, რას ბრძანებთ.

ხელახლა დავაწყვეთ ფიგურები.

— რახან არ გეწყინათ, დაიწყეთ მაშ.

ვიწყებ. თამაში არ გრძელდება ათ წუთსაც კი, მეორეც წავაგე.

— ხომ არ გეწყინათ? — მიმეორებს ბარბაქაძე.

ისევ ვთამაშობთ, ისევ ვაგებ, ბესარიონ ბარბაქაძე ისევ მეკითხება:

— ხომ არ გეწყინათ?

— არა ბატონო... რად უნდა მეწყინოს... ან რა არის აქ საწყენი. რას ბრძანებთ.

— კარგი მაშ...

კვლავ ვთამაშობ, კვლავ ვაგებ.

— ხომ არ გეწყინათ?

— სრულიადაც არა, — ვუპასუხებ მკვახედ. ვატყობ რომ ბესარიონ ბარბაქაძე რატომღაც ძალზე უკმაყოფილოა.

(დასასრული იქნება)

ქმედითი მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებისათვის მზადებაში

ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობა 1955 წლის 27 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

ოთხი წელი გავიდა წინა არჩევნებიდან. დროის ეს მონაკვეთი ჩვენს სამშობლოში აღინიშნა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განუხრელი, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდით. ყველა ეს წარმატება იმის შედეგია, რომ ჩვენი ხალხი თავდადებით და შემოქმედებითად შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ახორციელებს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას.

დიადი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით დევგმირმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმატებით სრულდება მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, იზრდება მძიმე ინდუსტრია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარების საფუძველზე არნახული აღმავლობა განიცადა სოფლის მეურნეობამ და ფართო მოხმარების საქონლის წარმოებამ. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები აღიჭურვნენ ახალი სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით; ამან კიდევ უფრო გაზარდა მოსავლიანობა. მილიონობით ჰექტარი ნასვენი და ყამირი მიწები იქნა ათვისებული ყაზახეთში, ალტაის მხარეში. კომუნისტური პარტიის ამ ბრძნული ღონისძიებას შედეგად წელს მეტი მარცვლეული მივიღეთ ვიდრე 1953 წელს, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინასა და ვოლგისპირეთში გვალვიანი ზაფხული იყო.

სოციალისტური ეკონომიკის წარმატების მეოხებით წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. თანმიმდევრულად ხორციელდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირება, ფართოვდება საბინაო მშენებლობა, იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. იგი ჩატარდება გაშლილი სოციალისტური დემოკრატიის საფუძველზე, რაც გარანტირებულია საბჭოთა კონსტიტუციით. არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები ჩატარდება ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ახალი ძალით გაჩაღების ვითარებაში.

არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს. შრომაში, სწავლაში ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები მოწინავეთა რიგებში დგანან. ისინი ამ კამპანიის ჩატარებაში არ უნდა ჩამორჩნენ სხვებს. საარჩევნო კომისიებისა და სააგიტაციო პუნქტების მუშაობაში ჩაბმული სპორტსმენები მთელი გულისყურით, ენერგიით უნდა მოეკიდონ საქმეს, განუმარტონ მშრომელებს არჩევნების მნიშვნელობა, ესაუბრონ საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ.

სპორტულმა ორგანიზაციებმა აქედანვე უნდა იზრუნონ ბრიგადების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც მხატვრულ მომსახურებას გაუწევენ საარჩევნო პუნქტებს. ბრიგადებში უნდა შედიოდნენ ტანმოვარჯიშეები, ძალოსნები, აკრობატები, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები და ა. შ. რათა მათი გამოსვლების პროგრამა მრავალფეროვანი და მიმზიდველი იყოს. საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ სააგიტაციო ავტო-მოტო-ველო გადარბენის მოწყობაც. გადარბენის მარშრუტი უნდა გადიოდეს იმ ადგილებში, სადაც საარჩევნო პუნქტებია. კოლონა მხატვრულად უნდა იყოს გაფორმებული, თან ახლდეს პოლიტიკურად მომზადებული სპორტსმენი, რომელიც მოსახლეობაში მიმზიდველად ჩაატარებს საუბრებს არჩევნებზე.

საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით იწყებენ საარჩევნო კამპანიას. ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები მოვალენი არიან ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ საქმეში.

ამას წინათ ლვოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში. რაპირაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლვოველი სპორტის ოსტატი ა. პლეხანოვა. შპაგაში ჩემპიონობა მოიპოვა ვილნიუსელმა ი. უდრასმა.

სურათებზე: ზევით ა. პლეხანოვა, ქვევით ი. უდრასი.

ფოტო დ. მულიარჩუკისა

საბჭოთა მოჭიდავეთა წარმატება ეგვიპტეში

ქაირო. 21 დეკემბერს გაიმართა მესამე ამხანაგური შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა და ეგვიპტელ სპორტსმენებს შორის. მატჩი ჩატარდა ეგვიპტის ერთ-ერთ დიდ სამრეწველო ცენტრში მახალა-ელკუბრაში. საბჭოთა გუნდი შეხვდა ნილოსის შუა ნაწილის დელტის რაიონის მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს.

ანგარიშით — 9:0 გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა.

სსრკ — შვეიცარია

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰოკეიში

21 დეკემბერს ციურიხში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები.

მატჩი დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ, ანგარიშით — 6:2.

სარაიონო შეჯიბრება

მოეწყო ორჯონიკიძის რაიონის მასწავლებელთა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა 50-ე სკოლის წარმომადგენელმა ა. არაბიძემ, ხოლო ქალთა შორის ამავე სკოლის მაგიდის ჩოგბურთელმა ნ. ახვლედიანმა.

დ. ნანობაშვილი

საქართველოს მძლეოსანთა ხუთი საუკეთესო შედეგი

1954 წელი

ვაჟები

◆

რბენა 100 მეტრზე: 1. ლ. სანაძე—10,4 (თბ. „ნაუკა"), 2-4. მ. გეგეშიძე — 10,9 (თბ. „ნაუკა"), რ. ტრაპაიძე — 10,9 (თბ. „დინამო"), ლ. ანთაძე—10,9 (თბ. „ლოკომოტივი"); 5-7 ა. საპოჟნიკოვი — 11,1 (თბ. „ლოკომოტივი"), ბ. სამოილენკო — 11,1 (თბ. „დინამო"), ი. დანიელაშვილი—11,1 (თბ. განათ. განყოფილება).

ათეულის საშუალო შედეგი 1953 წ. — 10,9 წამი, 1954 წ. — 11,1 წ.

რბენა 200 მეტრზე: 1-2 ლ. სანაძე — 21,7, რ. ტრაპაიძე — 21,7; 3. ლ. ანთაძე — 22,1, 4. ა. საპოჟნიკოვი—23,0, 5. მ. გეგეშიძე — 23,1.

ათეულის საშუალო შედეგი 1953 წ. — 23,7 1954 წ. — 22,9.

რბენა 400 მეტრზე: 1. რ. ტრაპაიძე — 49,4, 2-4. ვ. კუდრიავცევი — 52,1 (თბ. „დინამო"), ვ. მესხელიშვილი — 52,1 (ბათ. „დინამო"), პ. კრივენკო 52,1 (ფოთი), 5. უ. ლომთაძე — 52,2 (ტყიბული, „შახტიორი").

ათეულის საშუალო შედეგი 1953 წ. — 52,1, 1954 წ. 52,2.

რბენა 800 მეტრზე: 1. ი. ვოლობუევი—1:55,8 (ბათ. „დინამო"), 2 პ. კუდრიავცევი — 1:57,5, 3. ვ. პოზნარი—1:58,7 (თბ. ოფიცერთა სახლი), 4. ა. მალოიანი — 1:59,0 (თბ. „ნაუკა"), 5. ზ. დეკანოსიძე — 2:03,8 (თბ. „ნაუკა").

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 2:02,0, 1954 წ. — 2:01,8.

რბენა 1.500 მეტრზე: 1. ი. ვოლობუევი — 4:02,0. 2. ვ. პოზნარი — 4:04,4, 3. ი. უშაკოვი — 4:07,0 (თბ. „დინამო"), 4. ვ. ვაშაკიძე — 4:08,2 (თბ. „დინამო"), 5. ი. ცხადაძე — 4:16,8 (გურჯაანი „კოლმეურნე").

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 4:06,6, 1954 წ. — 4:13,4.

რბენა 5.000 მეტრზე: 1. ი. უშაკოვი — 15:14,0, 2. ვ. ვაშაკიძე — 15:19,6, 3. ა. კერესელიძე—15:48,0 (წყლუბორი), 4. შ. გიგაური—15:49,8 (ბაკურციხე „უროჟაი"), 5. ვ. ზახაროვი — 15:56,2 (სოხუმი „კოლმეურნე").

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 16:07,0, 1954 წ. — 15:54,2.

თარჯრბენი 110 მეტრზე: 1. მ. ტულუში — 15,1 (ქუთაისი), 2. გ. ლეჟავა — 15,1 (თბ. „დინამო"), 3. ს. ჭავთარაძე — 16,0 (თბ. „დინამო"), 4. გ. გვინჩიძე — 16,3 (თბ. გან. განყოფილება). 5. რ. ქართველიშვილი — 16,5 (თბ. გან. განყოფილება).

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 16,6, 1954 წ. — 16,2.

თარჯრბენი 400 მეტრზე: 1. გ. ლეჟავა — 56,7, 2. ვ. ვაშაკიძე — 58,1, 3. მ. ტულუში — 58,4, 4. გ. ბოხუა — 1:01,3 (ბათ. „ისკრა"), 5. პ. ახალკაცი — 1:01,4 (თბ. „მედიკი").

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 1:00,8, 1954 წ. — 59,2.

რბენა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით: 1. ვ. ვაშაკიძე — 9:29,6, 2. ი. უშაკოვი — 9:54,2, 3. ვ. პოზნარი — 10:00,0, 4. ვ. ზახაროვი — 10:03,4, 5. ი. მიხაილიცკი — 10:17,2 (ქუთაისი).

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 10:36,0, 1954 წ. — 10:22,8.

სიარული 10 კილომეტრზე: 1. ი. ახვლედიანი — 50:11,4 (თბილისი), 2. მ. კლემენტიევი — 50:40,4 (თბ. „ნაუკა"), 3. ნ. კალანდაძე — 51:19,4 (თბ. „დინამო"), 4. ვ. პორტულიევი — 53:46,6 (თბილისი), 5. რ. დელაროსა — 1.04:08,0 (თბილისი).

ხუთეულის საშუალო შედეგი — 1953 წ.—ცნობები არ არის, 1954 წ. — 54:20,6.

სიმაღლეზე ხტომა გამორბენით: 1. რ. შავლაყაძე — 190 სმ (თბ. „დინამო"), 2. ო. მამონოვი — 180 სმ (თბ. „ნაუკა"), 3-6. ვ. ფილიპევი—175 სმ (ბათ. „დინამო"), ვ. მიქელაძე — 175 სმ (ქუთ. „ისკრა"), რ. აბაღლობელი — 175 სმ (თბ. „ნაუკა"), ი. გვენეტაძე — 175 სმ (თბ. „ლოკომოტივი").

ათეულის საშუალო შედეგი 1953 წ. — 174,5 სმ, 1954 წ. — 176,8 სმ.

სიგრძეზე ხტომა გამორბენით: 1. ზ. წიკლაური — 6.68 მ (თბ. „ნაუკა"), 2. გ. გვინჩიძე—6.67 მ, 3. ს. ჭავთარაძე — 6.66 მ, 4. ი. ცანავა—6.63 მ. (გეგეჭკორი „ისკრა"), 5. ი. ხუციშვილი — 6.60 მ (ქუთაისი).

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. — 6.57 მ, 1954 წ. — 6.54 მ.

სამმაგი ხტომა გამორბენით: 1. ვ. ჩხეიძე — 14,00 მ (თბ. „ისკრა"), 2. რ. რამაზაშვილი — 13.81 მ (თბ. „ნაუკა"), 3. ო. თაყაიშვილი 13,58 მ (თბ. გან. განყოფილება), 4-5. ბ. სამოილენკო 13,45 მ (თბ. „დინამო"), ო. მაჩინინი — 13,45 მ (თბ. „დინამო").

ათეულის საშუალო შედეგი 1953 წ. — 13,14 მ, 1954 წ. — 13,42 მ.

ჭოკით ხტომა: 1. ი. შუქუროვი — 3.90 მ (თბ. „ტრუდი"), 2. თ. მჭედლიშვილი — 3.70 მ (თბ. გან. განყოფილება), 3-4 რ. გვიმრაძე — 3.60 მ (თბ. „ნაუკა"). ბ. გველესიანი — 3.60 მ (თბ. „ისკრა"), 5. ა. ავიძბა — 3.50 (სოხუმი).

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ. 3.52 მ. 1954 წ. 3.49 მ.

ბადროს ტყორცნა: 1. გ. ჩადუნელი — 45,04 მ (თბ. „ისკრა"), 2. შ. ტრანკაშვილი — 43.62 მ (სტალინირი „ისკრა"), 3. ა. მურავიოვი — 42,43 მ. (თბ. „დინამო"), 4. ა. კრივენკო — 41, 88 მ (ფოთი). 5. ა. ივლევი — 41,39 მ (თბ. „დინამო").

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ.—39,82 მ, 1954 წ.—42,32 მ.

შუბის ტყორცნა: 1. ვ. შმაკოვი — 62.38 მ. (თბ. „ნაუკა"), 2. ი. წულუკიძე — 60.01 მ (სოხუმი „ისკრა"), 3. ი. გიგაური — 58.89 მ (თბ. „ტრუდი"), 4. გ. ოჩიგავა—54.94 მ (თბ. „ნაუკა"), 5. ა. კუჭუხიძე — 53.68 მ (თბ. გან. განყოფილება).

ათეულის საშუალო შედეგი 1953 წ. — 55,90 მ, 1954 წ. — 54,82 მ.

უროს ტყორცნა: 1. რ. ტუროვი — 51,96 მ (თბ. „ნაუკა"), 2. ა. მურავიოვი — 49.94 მ 3. ნ. დევდარიანი — 49,84 (თბ. „ლოკომოტივი"), 4. ბ. ბარბაქაძე—45.34 მ (ტყიბული „ისკრა"), 5. შ. ტრანკაშვილი — 37.37 მ.

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ.—39,38 მ, 1954 წ.—43.96 მ.

ბირთვის კვრა: 1. ი. ქართველიშვილი — 14.16 მ (თბ. „ნაუკა"), 2. მ. გეგეშიძე — 13.77 მ, 3. ო. ქორქია — 13,61 მ (თბ. „დინამო"), 4. შ. ტრანკაშვილი — 13.48 მ. 5. კ. გურგენიძე — 13.26 მ (თბ. „დინამო").

ათეულის საშუალო შედეგი — 1953 წ.—13.13 მ, 1954 წ.—13.23 მ.

სტუდენტი ჩემპიონები

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში დამთავრდა თბილისის პირველობა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ პირად ჩათვლაში მესამეთანრიგოსან ქალთა შორის გაიმარჯვა ფიზკულტურის, ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ლუპარევამ — 64,65 ქულა. მეორეთანრიგოსანთა შორის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ე. ხახუბიამ და ტ. ინწკირველმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (65,45) და პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს.

მესამეთანრიგოსან ვაჟთა შორის უძლიერესი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ტატულაშვილი—52,9 ქულა, ხოლო მეორე თანრიგში ნ. ავალიანი — 54,9 ქულა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

დაძაბული ბრძოლა გაიმართა ჩემპიონობისათვის პირველთანრიგოსანთა შორის, ნებისმიერი პროგრამის შესრულების შემდეგ ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ვ. გვეტაძე (ფიზკულტურის ტექნიკუმი) — 108,15 ქულა. პირველთანრიგოსან ქალთა შორის გაიმარჯვა უნივერსიტეტის სტუდენტმა შ. ცნობილაძემ — 97,15 ქულა.

ოსტატებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის ჩემპიონი გახდა რ. შარაბიძე—101,65. ქალთა შორის ყველას აჯობა ლ. გოლუკაშვილმა — 100,7 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფიზკულტურის ტექნიკუმის, ხოლო მესამეზე—სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

პირველ თანრიგში მონაწილე 38 ტანმოვარჯიშიდან სათანრიგო ნორმა მხოლოდ 14-მა შეაგროვა, რაც უდაოდ მცირეა.

შ გვეტაძე

სურათზე: თბილისის აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის ფიზკულტურულ აქტივს ინსტრუქტორი ზ. ხატიაშვილი (შუაში) აცნობს მათ ახალ კომპლექსს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ახალ წლამდე

პარიზში, გამოჩენილ ფრანგ გროსმაისტერ იანოვკას სახლში ახალი წლის წინა ღამეს სტუმრებს თავი მოეყარათ. გროსმაისტერებთან ერთად მასპინძელს ახალი წლის შეხვედრაზე მოეწვია ჭადრაკის მრავალი მოყვარული, მწერალი, მხატვარი, ბანკირი და სხვ. სუფრის გაშლამდე სტუმრები ბუხართან სავარძლებში ჩამჯდარი საუბრობდნენ მომავალი წლის საჭადრაკო ტურნირებზე.

— მეგობრებო, — წამოიწყო მილიონერმა დარტლმა, — ამ ბოლო დროს საკმაოდ დავოსტატდი პოზიციის სწრაფ გადაწყვეტაში. წარმოიდგინეთ, რომ კომბინაციების მოძებნაშიც თვითონ ალიოხინსაც არ ჩამოუვარდები, — კვეხნით დაუმატა მილიონერმა.

დარტლს ყველამ ღიმილით შეხედა. დამსწრენი გაკვირვებული დარჩნენ მილიონერის უადგილო ტრაბახით. ყველა იცნობდა მას, როგორც გულუხვ მეცენატს, მაგრამ ჭადრაკში რომ სერიოზულად ვარჯიშობდა, ყველასათვის მოულოდნელი იყო.

ოსტატებმა დარტლს ამოსახსნელად რამდენიმე პოზიცია მისცეს. იგი სწრაფად პოულობდა მათ პასუხს, რამაც დამსწრენი ძალზე დააინტერესა. სტუმრებს შორის იყო ალიოხინიც, რომელიც არ ერეოდა ჭადრაკის მოყვარულთა საუბარში. ბოლოს, დარტლის ტრაბახისაგან შეწუხებული გამოვიდა მოთმინებიდან და მაგიდას მიუახლოვდა.

— თქვენ ბრძანებთ, — მიმართა ალიოხინმა მილიონერს, — რომ გამომუშავებული უნარი სწრაფად ჩასწვდეთ კომბინაციას, გამონახოთ სწორი გადაწყვეტა? დიდად სასიამოვნოა. ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ ერთი პოზიცია, რომელსაც ჩემს ერთ-ერთ პარტიაში ჰქონდა ადგილი.



— აი მდგომარეობა, რომელშიც თეთრები ჩემი იყო, — თქვა ალიოხინმა, — თეთრები იწყებენ და იგებენ, მაგრამ ძვირფასო დარტლ, დავდოთ პირობა: თქვენ ამ პოზიციის გადაწყვეტა უნდა მოასწროთ ახალ წლამდე. თუ ვერ მოასწრებთ, მაშინ მომავალ წელს თქვენს ხარჯზე ბადენ-ბადენის კურორტზე გაიმართება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. დარტლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

მილიონერი მიუჯდა მაგიდას.

საათმა 12-ჯერ დარეკა. დადგა ახალი წელი. ჭიქებით ხელში ყველამ ერთხმად წამოიძახა:

მოგილოცავთ ახალ წელს!

ამ დროს დარბაზში ლაზიერით ხელში დარტლი შემოვარდა.

— ამოვხსენი! ამოვხსენი! — ყვიროდა გახარებული მილიონერი.

— მაგრამ, სანაძლეო წაგებულია, — მიუგო ალიოხინმა. — ახალი წელი დაიწყო...

•••

ილევა 1954 წელი. ჩვენს მკითხველს ვთხოვთ ახალ წლამდე მონახოს პოზიციის სწორი ამოხსნა. სწორი პასუხის ავტორების გვარები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება.

გ. კაკიტაძე

ამოცანების ამოხსნა

ჩვენი გაზეთის 90-ე ნომერში გამოქვეყნებული ლატვიელი კომპოზიტორების ამოცანები და ეტიუდი (სამივე) სწორად ამოხსნეს: ვ. დადიანიძემ, ვ. დათებაშვილმა, გ. ხუბაშვილმა, (თბილისი), თ. ლეთოდიანმა (გორი), ი. ჭოლაძემ (ქუთაისი), ბ. და ნ. ჩიკვაიძეებმა, კ. იჭირაულმა (ახმეტის რაიონი), ა. ტყებუჩავამ (ლანჩხუთის რაიონი), ე. ქიტიაშვილმა, ვ. ჭანტურიამ (ბათუმი), შ. სოსანიძემ, გ. კუთარაშვილმა, ნათელა ელოშვილმა და რ. მინდიაძემ (კოჯორი).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამომხსნელთა უმრავლესობამ ვერ მონახა სამსვლიანი ამოცანის სწორი გადაწყვეტა. მოგვყავს პასუხები:

ამოცანა ვ. ვედერსისა და ა. დომაბროვსკის: 1. მg1 მუქარით 2. ეf3×; 1. ... მfe5 2. ლb6×; 1. ... მge5 2. ლ:a2×; 1. ... ლc6 2. ლe1×; 1. ... ეa2 2. ეd2×. 1. ... მh4 2. მ:h3×.

ამოცანა ი. დრაისკასი: 1. g4 მუქარით 2. f4+ gf 3. ეfe6×; 1. ... ე:c6 2. ეf5+ მფ:d6 3. ეd5×; 1. ... მd3 2. ეde6+ მფd4 3. ეe4×; 1. ... ე:f3 2. მfe6+ მფf4 3. ეe4×; 1. ... მ:g6 2. ეd5+ მფ:f6 3. ეf5×; 1. ... ed 2. ეf5+ მფd4 3. ეd5×; 1. ... ef (კ:f6) 2. ეd5+ მფf4 3. ეf5×; 1. ... e6 2. f4 მფd6 3. ე:e6×;

ეტიუდი პირიტისა: 1. მh8 კ:h8 2. მc5 მg7 3. f3~ 4. მb7 ან მe6×.

დაუმთავრებელი...

აქ ჯერ კიდევ აგვისტოში ენერგიულად საქმიანობდნენ ოსტატები— კედლებს ღებავდნენ, იატაკს აგებდნენ, აწესრიგებდნენ ცენტრალურ გათბობას, ცდილობდნენ პირველი სექტემბრისათვის დაემთავრებინათ სამუშაოები, მოსწავლეებისათვის გადაეცათ კარგად შეკეთებული სპორტული დარბაზი. ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. ორჯონიკიძის რაიონის შემკეთებელი კანტორის (უფროსი ალავიძე) საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ახალ სასწავლო წელს თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კეთილმოწყობილი დარბაზის ნაცვლად მიიღეს... დაუმთავრებელი, მტვრით და ნაგვით სავსე სპორტული დარბაზი, რომლის კედლებს ორთქლით გათბობის სანახევროდ გაყვანილი მილები და ორი მოუწყობელი რადიატორი „ამშვენებს“.

— ბევრი ვეცადეთ, მზრუნველობა არ დაგვიკლია, ახალი სპორტინვენტარი — ორძელი, ღერძი, ტაიჭი, ხარიხა, ჯრეკაბოგი, ოთხი ლეიბი შევიძინეთ. ზოგი ძველიც შევაკეთეთ, ცენტრალური დარბაზის გარდა 4 სხვა ოთახი გამოვყავით გასახდელების, საშხაპეების, მასწავლებლის კაბინეტისათვის და სხვ. მაგრამ ყოველივე ამან ფუჭად ჩაიარა შემკეთებელი კანტორის დაუდევრობის გამო,— განაცხადა სკოლის დირექტორმა ლ. შანიძემ.

ამ საქმისათვის ჯეროვანი ყურადღება რომ მიექციათ კომკავშირისა და ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტებს, მაშინ სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა. როდემდის უნდა ივარჯიშონ კოსტუმებსა და პალტოებში გამოწყობილმა 56-ე სკოლის მოსწავლეებმა ღია ცისქვეშ, „სუფთა ჰაერზე?“

ო. გელაშვილი

•••

სურათებზე: (მარჯვნივ) 56-ე საშუალო სკოლის სპორტდარბაზში უპატრონოდ მიგდებული ორძელის საყრდენი, მარცხნივ თქვენ ხედავთ ახლად შეძენილ გამოუყენებელ სპორტინვენტარს.

ფოტო **დ. იაკობაშვილისა**

ყოველი მხრიდან

უცხოეთის ფეხბურთის მოედნებზე

ინგლისი

ლონდონის ერთ-ერთ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ვერეშ-ლობოგო“ და ინგლისის ფეხბურთის კლუბი „ჩელსი“. პირველი ნახევრის 18-ე წუთზე ჰიდეგკუტი ხსნის ანგარიშს. 41-ე წუთზე ინგლისელი მსაჯი ბონდი ნიშნავს 11 მეტრიან საჯარიმო დარტყმას უნგრელთა კარში, მაგრამ „ჩელსის“ მარჯვენა მცველმა ჰარისმა ვერ შეძლო მისი გამოყენება. 44-ე წუთზე ინგლისელი შტაბე ათანაბრებს ანგარიშს და მალე ბენტლეი კიდევ ერთ ბურთს ათავსებს უნგრელთა კარში.

მეორე ნახევრის მესამე წუთზე 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება ეძლევა უნგრელებს, მაგრამ ლანტოში ვერ იყენებს ანგარიშის გათანაბრების ნაღდ შესაძლებლობას. არ გასულა ორი წუთი და ინგლისელებს კვლავ ეძლევათ 11 მეტრიანი საჯარიმო და ჰარისი ხელმეორედ (!) აცილებს კარს. 57-ე წუთზე პალოტაშს გააქვს ბურთი. ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ, ანგარიშით — 2:2.

თურქეთი

უნგრეთის გასული წლის ჩემპიონმა „ვერეშ-ლობოგომ“ მოაწყო რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა თურქეთის სტადიონებზე.

პირველი შეხვედრა უნგრელებმა თურქეთის 1953-54 წლის ჩემპიონთან „ბეშიქტაშთან“ მოიგეს ანგარიშით — 3:0. მეორე მატჩი თურქეთის ყველაზე პოპულარულ გუნდთან „გალატასარაისთან“ უნგრელებმა კიდევ უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 7:0.

უფრო დაძაბული გამოდგა მესამე შეხვედრა. ამჯერად უნგრელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს პროფესიონალური გუნდი „ფენერბაჩე“.

უკანასკნელად გაიმართა მატჩი „ვერეშ-ლობოგო“ — თურქეთის ნაკრები. გამარჯვება აქაც უნგრელ ფეხბურთელებს ხვდათ წილად — 7:2. „ვერეშ-ლობოგო“ გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: გელერი, კოვაჩი II, ბერეენი, ლანტოში, კოვაჩი I, ზაქარიაში, სანდორი, ჰიდეგკუტი, პალოტაში, შოლნოკი და მოლნარი.

„ვაშაში“ (ბუდაპეშტი) - ბერლინი (გდრ)

ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თავიდანვე ცხადი გახდა უნგრელთა უპირატესობა, რომელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჩორდაშმა ზედიზედ ხუთი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

თანაბარი ბრძოლით აღინიშნა შეჯიბრების მეორე ნახევარი. მატჩის საბოლოო შედეგია — 6:6.

შვეციის ფეხბურთელთა გასტროლები

შვეციის ფეხბურთელთა კლუბებმა „აიკ-მა“ და „კალმარ ფფ-მა“ მოაწყვეს გასტროლები ჰონკონგსა და სინგაპურში. „აიკ“-ი შეხვდა ჰონკონგის ნაკრებს. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3. ასეთივე ანგარიშით ითამაშეს კალმარის ფეხბურთელებმა სინგაპურში.

უნგრეთის ჩემპიონატი

უნგრეთის ჩემპიონატში გუნდების უმრავლესობამ ჩაატარა 22 თამაში. მდგომარეობა 2 დეკემბრისათვის ასეთი იყო: „ჰონვედი“ 32 ქულა, „ვერეშ-ლობოგო“ — 27 ქულა, „კინიგრი“ — 27 ქულა, „ვაშაში“ — 25 ქულა, „დოჟა“ — 22 ქულა.

„რეიმონ დოს არ ახარებს გამარჯვება“

სავალალო მდგომარეობაშია ამჟამად ფიზიკური კულტურა და სპორტი საფრანგეთში. ფრანგული სპორტი სულ უფრო და უფრო ჰკარგავს მოწინავე ქვეყნის მდგომარეობას საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ყოველ ახალ შეჯიბრებას ახალი მარცხი მოაქვს საფრანგეთის სპორტული ფედერაციებისათვის. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე ჰელსინკში ფრანგმა სპორტსმენებმა გაცილებით ნაკლები მედლები მოიპოვეს, ვიდრე 1948 წელს ლონდონში. ანალოგიური მდგომარეობაა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საერთაშორისო შეხვედრებში. აგებენ მატჩებს ფრანგი ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოკრივეები, მოჭიდავეები, მძლეოსნები...

მთავრობა არავითარ მატერიალურ დახმარებას არ უწევს სპორტულ ორგანიზაციებს და კლუბებს, რის შედეგადაც მრავალი მოწინავე სპორტსმენი და სპორტული კოლექტივი იძულებულია თავი დაანებოს სპორტს. ასე მაგალითად, სულ ახლახან შეწყვიტა თავისი სპორტული მოღვაწეობა საფრანგეთის ჩემპიონმა, განთქმულმა ტანმოვარჯიშემ რეიმონ დომ. ამ ამბის გარშემო ფრანგულ პრესაში დიდი აურზაური ატყდა და დოს განდგომას არაერთი სტატია მიეძღვნა.

საქმე დაიწყო იმით, რომ საფრანგეთისა და უნგრეთის ტანმოვარჯიშეთა შეხვედრის წინ, რომელიც პარიზში გაიმართა, „ეკო დე სპორტმა“ გამოაქვეყნა ასეთი შინაარსის წერილი: „საფრანგეთის უძლიერესი ტანმოვარჯიშე რეიმონ დო იმყოფება მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში და განზრახული აქვს საფრანგეთ-უნგრეთის შეხვედრის შემდეგ შეწყვიტოს შემდგომი გამოსვლები შეჯიბრებებში. მას აღარ შეუძლია დღეში რამდენიმე საათი დათმოს წვრთნისათვის“.

ამ ორი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა მატჩის შემდეგ „ეკიპი“ წერდა: „დო სრულიად მოუმზადებელი გამოვიდა შეჯიბრებაზე, ხოლო მისი განწყობილება პირდაპირ საშინელი იყო. ის, რომ დო ასეთ პირობებში გამოვიდა შეჯიბრებაზე, საოცარია და შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი იშვიათი მონაცემებით. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დო თავისი შესაძლებლობით საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს არ ჩამოუვარდება. მას რომ საშუალება ჰქონდეს ხვალიდან შეუდგეს რეგულარულ ვარჯიშს, რეიმონ დო იქნებოდა მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი“.

საქმე იმაში არაა, მართლა შესწევს თუ არა ძალა რეიმონ დოს კონკურენცია გაუწიოს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს. შეიძლება დო ნამდვილად უდიდესი მონაცემების მქონე სპორტსმენია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ფრანგებს იგი მართლაც ასეთად მიაჩნიათ, მაგრამ ულუკმაპურო ტანმოვარჯიშეს ვერავითარ დახმარებას ვერ უწევენ. ამაზეა ნათქვამი ყვავს რა ჰქონდაო...

„ფრანს სუარმა“ შეჯიბრების ანგარიშს სათაურად წაუმძღვარა — „უნგრელთა დამმარცხებელი რეიმონ დო“. ეს იყო სათაური, წერილში კი ეწერა, რომ მატჩის შემდეგ დო ერთობ ნაღვლიანი იყო და სრულიადაც არ ახარებდა საპატიო გამარჯვება — ეს იყო მისი უკანასკნელი ოფიციალური გამოსვლა საფრანგეთის გუნდის შემადგენლობაში. „როგორ შეიძლება — წერს გაზეთი — ასეთი ტანმოვარჯიშის გაშვება, რას ფიქრობს ტანვარჯიშის ფედერაცია?“.

განა არ იცის „ფრანს სუარმა“ რას ფიქრობს ფედერაცია? მშვენივრად იცის. ტანვარჯიშის საფრანგეთის ფედერაციის სალაროში მშიერი თაგვები დაცუნცულებენ და ფედერაციის გულამშიერი ხელმძღვანელობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, წლიდან წლამდე რით გაიტანოს თავი და ორიოდე ფრანკი რა ხრიკებით შეკრიბოს.

„სპორტ ე პლენორმა“ ამ პრობლემას მთელი გვერდი მიუძღვნა მყვირალა სათაურით—„ტანვარჯიში არ უნდა მატოვოს საფრანგეთის ჩემპიონმა. გაზეთი წერს, რომ 27 წლის რეიმონ დო 17 წელია ტანვარჯიშს მისდევს, მას მრავალი შესანიშნავი გამარჯვება აქვს მოპოვებული და ამჟამად საუკეთესო ფორმაში იმყოფება. მით უფრო დასანანია, რომ მას არა აქვს შესაძლებლობა განაგრძოს წვრთნა და გამოვიდეს შეჯიბრებებში ისე, როგორც მას შეეფერება. ცუდად მომზადებული კი მას არ სურს წარდგეს მაყურებლის წინაშე.

„და თუ რეიმონ დო მართლაც იძულებული იქნება შეასრულოს თავისი სიტყვა, როცა მისი ტალანტი გაფურჩქვნის პერიოდშია, მაშინ იგი—რეიმონ დო კი არ იქნება პასუხისმგებელი ამ საქმეში, არამედ ფრანგული სპორტი, რომელმაც ღვთის ანაბარად მიატოვა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი“. „სპორტ ე პლენორის“ ეს სიტყვები ნებსით თუ უნებლიედ ჭეშმარიტებას ღაღადებს.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს: „უწინ ქალაქ პიუტოს ადგილობრივი მმართველობა (აქ ცხოვრობს დო) უწევდა მას მცირეოდენ დახმარებას, ახლა კი სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ამ ნიჭიერ ტანმოვარჯიშეს. თანამედროვე პირობებში საჭიროა სისტემატური ვარჯიში და რეჟიმის დაცვა, რათა სპორტსმენმა შეძლოს წარმატების მოპოვება. მაგრამ ბევრ სპორტსმენს არა აქვს ამის საშუალება და ვერ აწარმოებს ნორმალურ ვარჯიშს. საფრანგეთის სპორტის ხელმძღვანელობას უფლება არა აქვს ისე მიაგდოს ნიჭიერი ტანმოვარჯიშე“.

როგორც ვხედავთ, ტანვარჯიშში საფრანგეთის ჩემპიონის განცხადებამ სპორტსათვის თავის მინებების შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში, შეშფოთდა ფედერაცია, მაგრამ ეს განგაში არ გაცილებია საგაზეთო სტატიებს და უქმ ლაყბობას.

განა არ შეიძლება რეიმონ დოს ხსნა სპორტისათვის? შეიძლება. საამისოდ საკმარისია დო დაინიშნოს ტანვარჯიშში საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად — დო თვითონაც ივარჯიშებს და სხვებსაც მოამზადებს.

ამას შესახებ მთელი ხმით გაჰკივიან გაზეთები, მაგრამ ჯერჯერობით დო თავის პატარა ქალაქში ზის და ხვალინდელ ლუკმა-პურზე ოცნებობს.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 15843